სარჩევი

რა არის ახალი 2

ფრაის ლისტში ფასდაუდგენელი ნომენკლატურების მოფილტვრის შესაძლებლობა 2

ექსელიდან ჩატვირთვისას ელემენტების ძიების ველით გაერთიანება მხოლოდ ექსელში არსებული მონაცემებით 3

დოკუმენტის ცხრილური ნაწილის კოპირების საშუალება 4

გასწორებული შეცდომები 5

სხვა მოდიფიკაციები 5

ბალანსის რელიზი_1.3.4.8

09.08.2023

რა არის ახალი

ფრაის ლისტში ფასდაუდგენელი ნომენკლატურების მოფილტვრის შესაძლებლობა

ფასდაუდგენელი ნომენკლატურის ფილტრის დადებისას, ფრაისლისტში გამოჩნდება მხოლოდ ის ნომენკლატურები, რომლებზეც ფრაისლისტში არჩეული ფასის ტიპი არ არის დადგენილი.



ექსელიდან ჩატვირთვისას ელემენტების ძიების ველით გაერთიანება მხოლოდ ექსელში არსებული მონაცემებით

ახალ რელიზში ექსელით შეტვირთვის დამუშავებაში როცა აწყობაში ძირების ველი არის მითითებული, შესაძლებელია არსებულ მონაცემებს არ გადაეწეროს და შეიმნას ახალი დოკუმენტი

ამისათვის მონაცმების ჩატვირთვის შეტყობინებაში დაემატა ახალი ღილაკი შექმნა. იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელს სურს ძიების ველით მოძებნილი ბაზაში არსებული მონაცემზე გადააწეროს ექსელში მითითებული მონაცემები, ამ შემთხვევაში უნდა აარჩიოს გადაწერა ღილაკი.



დოკუმენტის ცხრილური ნაწილის კოპირების საშუალება

გადაადგილების დოკუმენტში შესაძლებელი გახდა ცხრილური ნაწილის სტრიქონების კოპირება და ჩასმა სხვა გადაადგილების დოკუმენტში.

გადაადგილების დოკუმენტს დაემატა 2 ღილაკი: სტრიქონების კოპირება და სტრიქონების ჩასმა



სტრიქონების კოპირებისთვის გადადგილების დოკუმენტში საჭიროა მოინიშნოს სასურველი სტრიქონები Shift ან Ctrl ღილაკებით, ყველა სტრიქონის მოსანიშნად გამოიყენეთ Ctrl + A. სტრიქონების მონიშვნის შემდეგ საჭიროა ღილაკზე დაჭერა, რათა პროგრამამ დაიმახსოვროს ბუფერულ მეხსიერებაში.

სტრიქონების ჩასასმელად საკმარისია გადაადგილების დოკუმენტში ღილაკზე დაჭერა.

გასწორებული შეცდომები

- გასწორებულია ეიჯინგ რეპორტში თანხების გამოტანის ხარვეზი, როდესაც კონტრაგენტთან ანგარიშსწორება ხდება დოკუმენტებით
- გასწორებულია იმპორტის დოკუმენტში რაოდენობის ცვლილებისას განაწილების ბაზის გადათვლის ხარვეზი
- გასწორებულია გაყიდვებისა და მზა პროდუქციის თვითღირებულების ანალიზის რეპორტებში თვითღირებულების გამოტანის ხარვეზი, როდესაც მომხმარებელს არ აქვს უფლება თვითღირებულების დანახვის
- გასწორებულია მყიდველის შეკვეთაში ძირითადი ხელშეკრულების ვიზუალურად შევსების ხარვეზი, როდესაც მყიდველზე არაა ჩართული ხელშეკრულებებით აღრიცხვა
- გასწორებულია პროდუქციის გამოვების დოკუმენტის ექსელიდან ჩატვირთვისას, პროდუქტისა და მასალის სერიების ერთმანეთში არევის ხარვეზი, როდესაც დასახელებები ემთხვევა
- გასწორებულია ხელფასის გამარტივებული აღრიცხვის აღრიცხვის
- გასწორებულია კადრების მოძრაობის ანგარიშგებაში ინფორმაციის გამოტანის ხარვეზი, თუ თანამშორმელზე არ არის დადგენილი ხელფასი
- გასწორებულია გაყიდვების დამხმარედან აქციზური საქონლის გაყიდვისას აქციზის გამოყოფის ხარვეზი
- გასწორებულია ხელფასის პაკეტურ გადარიცხვაში გამოქვითვების გათვალისწინების ხარვეზი
- გასწორებულია გეგმიური დარიცხვების ექსელიდან შეტვირთვის ხარვეზები

სხვა მოდიფიკაციები

- შესყიდვის დოკუმენტში საშემოსავლო გადასახადისა და საპენსიო შენატანების გადანწილება სტრიქონებზე
- დისტრიბუციის ზედნადებში სატრანსპორტო საშუალებების შევსება საწყობიდან/სავაჭრო წარმომადგენლიდან
- შეტყობინებების მეილით რეგლამენტური დაგზავნა
- შეტყობინებების მეილით დაგზავნის შაბლონში HTML ფორმატირება
- ქლაუდის ბაზებიდან მეილის გაგზვნა
- საქონლის გადაადგილების საფუძველზე რეალიზაცია გადახდით შექმნა

- საქონლის გადაადგილების დოკუმენტში საწყობების ცხრილში მითითების შესაძლებლობა
- ძირითადი საშუალებების შტრიხკოდის შაბლონის აწყობადობა
- საქართველოს ბანკთან ინტეგრაციის ოპტიმიზაცია
- ხელფასის გადახდის შესაძლებლობა დეპარტამენტების მიხედვით
- მიღებული ანგარიშ-ფაქტურების ჩამოტვირთვის დახვეწა
- რეალიზაციის კორექტირების დოკუმენტის ექსელიდან ჩატვირთვისას თვითღირებულების ავტომატური შევსება
- ტიპიური ოპერაციის საბეჭდი ფორმის ერთიანად ამობეჭდვა
- გაცემულ სასაქონლი ზედნადებში ზედნადების თანხის გამოტანა
- ბრუნვით უწყისში კონტრაგენტების და თანამშრომლების ს/ნ-ის გამოტანა